რვა წაგების შემდეგ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 31 ივლისი.

“ტორპედო” (ქუთაისი) - “დინამო” (თბილისი) 4:2 (0:0).

“ტორპედო”: გრძელიშვილი, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ზარია (საკანდელიძე), ჭოლაძე, ნაჭყებია, ვეკუა (გადელია), ხაჟალია, ჭითანავა.

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ასათიანი, სიჭინავა, გავაშელი, გ. ნოდია, მესხი.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები - 2:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ.

ქუთაისის “ტორპედოს” ზედიზედ ჰქონდა წაგებული ბოლო 8 შეხვედრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო გუნდმა გამარჯვების მოპოვება. ყველა ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში. ანგარიში გახსნა ნაჭყებიამ, მეორე გოლი გაიტანა ჭითანავამ, მერე კი პეტრიაშვილმა საკუთარ კარში გაგზავნა მესამე ბურთი. ამის შემდეგ ასათიანმა და კუტივაძემ ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს, ხოლო მატჩის ბოლო 90-ე წუთზე ჭითანავამ კიდევ ერთხელ აიღო “დინამოს” კარი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 3 აგვისტო, 1968 წ.